აჭარის არ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება -
საავტომობილო გზების დეპარტამენტის
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი N260-1

01/10/2020 წელი.

ქ. ბათუმი.

დღის წესრიგი: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ს/გზა "ახალშენის მეურნეობა-ესელიძეები" კმ0+000-კმ0+350 მონაკვეთზე გზის რეაბილიტაციის მოწყობის ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის დამტკიცება.

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - მამუკა თურმანიძე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე და აპარატის წევრი, სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი - ზებურ ჩავლეიშვილი.

კომისიის წევრები:

-საფინანსო-საბუღალტრო სამსახურის უფროსი – ზვიად ანანიძე.
- ლოჯისტიკისა და ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის სამსახურის უფროსი - როლანდი ბოლქვაძე.
- ინფრასტრუქტურის განვითარებისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ასლან დუმბაძე.

სხდომას არ ესწრება კომისიის წევრი, იურიდიული სამსახურის უფროსი - მალხაზ ბოლქვაძე

აპარატის წევრი:
სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი -ირინა ფუტკარაძე

მოისმინეს: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ს/გზა "ახალშენის მეურნეობა-ესელიძეები" კმ0+000-კმ0+350 მონაკვეთზე გზის რეაბილიტაციის ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო განცხადების და სატენდერო პირობების პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა - ი. ფუტკარაძემ აღნიშნა, რომ შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 188 234 ლარს. სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იქნას დღგ-ს ჩათვლით. შესყიდვა სასურველია განხორციელდეს ელექტრონული ტენდერით აუქციონის გარეშე. ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გასაცნობად, აგრეთვე სატენდერო წინადადების წარსადეგენად ვადები განისაზღვროს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 15[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამუშაოს შესრულების ვადაა 45 კალენდარული დღე ხელშეკრულების დადებიდან, სამუშაოს მიღება-ჩაბარება განხორციელდება 1 (ერთი) ეტაპად. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა ხელშეკრულების დადებიდან და სამუშაოს დაწყების შესახებ წერილობით აცნობოს შემსყიდველს. სამუშაოს დაწყების თაობაზე მიმწოდებლის წერილობით შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია - სამუშაოების ჩამონათვალი, თუ რა კონკრეტული სამუშაოები მიმდინარეობს ობიექტზე.

პრეტენდენტს მოეთხოვება შემდეგი სახის ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენა:

-ინფორმაცია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ. სავალდებულო მოთხოვნაა - პრეტენდენტს საკუთრებაში გააჩნდეს სატენდერო პირობებით მოთხოვნილი 13 დასახელების მანქანა-მექანიზმებიდან არანაკლებ 6 სახეობისა.

-პრეტენდენტს საკუთრებაში უნდა გააჩნდეს ასფალტის ქარხანა, ან/და გაფორმებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი ხელშეკრულება ასფალტბეტონის მიწოდებაზე, ასფალტბეტონის ქარხნის საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (აუდიტის დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში დოკუმენტი გაცემული უნდა იყოს ტენდერის გამოცხადების შემდეგი თარიღით) ან/და ასფალტის მიწოდებაზე გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს არანაკლებ 2021 წლის 01 იანვრისა.

- 2016 წლის 01 იანვრიდან სატენდერო წინადადების მიღების დაწყების თარიღამდე პერიოდში ანალოგიური სახის, კერძოდ საავტომობილო გზებზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოების არანაკლებ 500 000 ლარის საერთო ღირებულების, აქედან ერთი ხელშეკრულებით არანკლებ 180 000 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

- ინფორმაცია პრეტენდენტი პირის სპეციალისტთა კვალიფიკაციის შესახებ:

1) პრეტენდენტ პირს აუცილებლად უნდა ყავდეს საინჟინრო განათლების მქონე მინიმუმ ერთი სპეციალისტი;
2) „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული პროგრამის სერთიფიცირებული არანაკლებ 1 (ერთი) სპეციალისტი. პრეტენდენტმა წარმოადგინოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

პრეტენდენტს მოეთხოვება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა, კერძოდ:

ა) ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) პირთა რეესტრიდან;

ბ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს რომ პრეტენდენტს არ გააჩნია აღიარებული დავალიანება ბიუჯეტის მიმართ, ამასთან არაღიარებული საბიუჯეტო დავალიანება არ უნდა აღემატებოდეს ცნობაში დაფიქსირებულ ზედმეტობის თანხას.

- იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში რეგისტრირებულია ყადაღა/აკრძალვა ან/და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება ან/და პრეტენდენტი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, ასევე თუ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობის თანახმად ფიქსირდება ბიუჯეტის წინაშე დავალიანება, პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დანტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" 32-ე მუხლის 1 პუნქტის (ე) ქვეპუნქტის საფუძველზე.

- მოეთხოვება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით, ხოლო სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულების ვადას (30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.8 პუნქტით გათვალისწინებულ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ვადას).

- გათვალისწინებულია ავანსის გაცემა სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ოდენობით.

- განისაზღვროს შეთავაზების ფასის კლების ბიჯი - შესყიდვის სავარუდო ღირებულების - 1%.

კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი სატენდერო განცხადებისა და სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ პროექტს.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ს/გზა "ახალშენის მეურნეობა-ესელიძეები" კმ0+000-კმ0+350 მონაკვეთზე გზის რეაბილიტაციის ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე სახელმწიფო შესყიდვის წარმოდგენილი სატენდერო განცხადების და სისტემაში ასატვირთი ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი;

2. განისაზღვროს შესყიდვის საორიენტაციო ღირებულება 188 234 ლარის ოდენობით, შესყიდვა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერით აუქციონის გარეშე.

3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ტენდერის გამოცხადების პროცედურების განხორციელება.

კომისიის თავმჯდომარე:	მამუკა თურმანიძე
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:	ზებურ ჩავლეიშვილი
კომისიის წევრები:	ზვიად ანანიძე
	როლანდ ბოლქვაძე
	ასლან დუმბაძე
აპარატის წევრი:	ირინა ფუტკარაძე

Roads Department the sub-Division of Finance and Economy of the Ajara A.R.

Digitally signed by Roads Department the sub-Division of Finance and Economy of the Ajara A.R.
Date: 2020.10.01 10:46:14 +04'00'